ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01262012886**
გაცემის თარიღი: **20/07/2026**

ადრესატი: ჯემალი ჩიკვაიძე
პირადი ნომერი: 01017057293
მისამართი: თბილისი გიორგი ლეონიძის ქ. N 12 ფ. 4

განმცხადებელი: ჯემალი ჩიკვაიძე
განმცხადებლის პ/ნ: 01017057293
საქმის ნომერი: 01261972981-67
განცხადების ნომერი: 01261972981-67
განცხადების თარიღი: 16/07/2026
ნომენკლატურა: სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო / სამსახურის პოზიცია ნაკვეთის გამიჯვნა/ გაერთიანების, მისასვლელი გზისა და შეძენა ან/და იჯარის შესახებ / სამსახურის პოზიცია მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობის ან/და სერვიტუტით დატვირთვის შესახებ

ბატონო ჯემალ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.07.2026 წლის № 01261972981-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.72.14.032.305) საჯარო სამართლებრივი სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით.

პასუხად მოგახსენებთ, რომ დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (საკადასტრო კოდი: №01.72.14.032.305) ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს გზას/საზოგადოებრივ სივრცეს, რომელზეც, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების მე-15 მუხლის თანახმად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს;

მოგახსენებთ, რომ ტზ-1-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		–	კოეფიციენტი
კ-2		–	კოეფიციენტი
კ-3 *		0,1	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	–	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	–	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	–	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა	* კოეფიციენტი ეხება: ტროტუარის მიმდებარე გაზონებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს და მსგავს სივრცეებს და მათი გათვალისწინება სავალდებულოა ქუჩების, გზების, გზატკეცილების მშენებლობისას/რეკონსტრუქციისას, სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი		

მოგახსენებთ, ვინაიდან დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (ს/კ:№01.72.14.032.305) წარმოადგენს გზას/საზოგადოებრივ სივრცეს, საჯარო სამართლებრივი სერვიტუტით დატვირთვის საჭიროება არ იკვეთება. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნინო ბაგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

სააგენტოს უფროსი

ელექტრონული შტამპი

